საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/777
09/02/2023

777-21-2-202302091143

**ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას**

თქვენი 2023 წლის 12 იანვრის N114-11423012112 წერილის (სააგენტოს რეგისტრაციით N167; 12.01.2023) პასუხად, რომელიც ეხება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით „ქობულეთის მუნიციპალიტეტში, აბაშიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური დანიშნულების დასასვენებელი კომპლექსის „ბობოყვათი“ მშენებლობის მიზნით მომზადებული განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციისა და სკრინინგის განცხადების წარმოდგენას, გაცნობებთ შემდეგს:

- წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში ასახულია ქ. ქობულეთის განაშენიანების გეგმის ტექსტური ნაწილი. დოკუმენტის მიხედვით, საპროექტო არეალის განვითარება თანხვედრაშია ქ. ქობულეთის განაშენიანების გეგმასთან. თუმცა არ არის მოცემული სტრატეგიული დოკუმენტის მიმართება აღნიშნულ გეგმასთან, რაც მოთხოვნილი იყო სააგენტოს 2022 წლის 25 ნოემბრის N21/7214 წერილით. კერძოდ, არ არის წარმოდგენილი ამჟამად რომელ ფუნქციურ ზონას/ქვეზონას მიეკუთვნება გეგმარებითი ერთეულზე არსებული ნაკვეთები (განაშენიანების პარამეტრების მითითებით). ამასთან, საჭიროა ტექსტურ ნაწილში განაშენიანების პარამეტრები მიეთითოს გდგ დოკუმენტით ნაკვეთებისთვის განსაზღვრულ ზონებს/ქვეზონებს და ასევე, დაზუსტდეს კონცეფციაში მითითებული **საკურორტო სარეკრეაციო ზონის (შზ-6)** საკითხი, ვინაიდან ქ. ქობულეთის განაშენიანების გეგმაში საკურორტო სარეკრეაციო ზონა მითითებულია როგორც **შზ-4;**
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, გეგმარებითი ერთეული მდებარეობს ნაშენი ტერიტორიის საზღვრებში, **განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიაზე** და ინიცირების მომენტისთვის მასზე არ ვრცელდება დარგობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული რაიმე რეჟიმი/რეგლამენტი. როგორც სააგენტოს 2022 წლის 25 ნოემბრის N21/7214 წერილით გეცნობათ, საჭიროა

დაზუსტდეს **რის ფარგლებში აქვს ტერიტორიას მინიჭებული** აღნიშნული სტატუსი და **რა სახის რეგულაციები** ვრცელდება მასზე;

- როგორც სააგენტოს 2022 წლის 25 ნოემბრის N21/7214 წერილით გეცნობათ, საჭიროა დაზუსტდეს შპს „ბობოყვათის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები და ფართობები, ვინაიდან სკრინინგის განცხადებასა და სტრატეგიულ დოკუმენტში აღნიშნული **მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვევა.** ასევე წარმოდგენილ დოკუმენტაციას **თან დაურთოთ გეგმარებითი ერთეულის Shp ფაილები;**
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში რაოდენობრივად უნდა აისახოს მონაცემები ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სიმძლავრის(სისქის) და იმ ფართობების(მონაკვეთების) შესახებ, რომელზეც განხორციელდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა. ასევე მოსახსნელი გრუნტის და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სავარაუდო მონაცემები განხილული უნდა იყოს ცალ-ცალკე. ამასთან დოკუმენტაციაში უნდა იყოს მითითებული, რომ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და მისი შემდგომი გამოყენება განხორციელდება ,,ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა გათვალისწინებით;
- გარემოზე შესაძლო ზემოქმედებების შეფასების თავის ქვეთავში „4.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე“ არასრულად არის აღწერილი ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება. კერძოდ, მშენებლობის პროცესში განხილულია მხოლოდ სამშენებლო ტექნიკისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ემისიები, ხოლო თავად მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი მყარი ნაწილაკები შეფასებული არ არის. შესაბამისად, არ არის აღწერილი შესაბამისი შემცირების ღონისძიებები, როგორიცაა ამტვერებადი მასალების დახურული ტრანსპორტირება და შენახვა, შენობების მტვრის დამცავი ბადეებით შეფუთვა, ქვის და სხვა ამტვერებადი მასალების სველი წესით დასუფთავება, სამშენებლო ზონიდან გასვლის წინ ავტომობილის საბურავებისა და ძარის გარეცხვა და ა.შ.
- 35-ე გვერდზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით, პროექტის განხორციელებით ატმოსფერულ ჰაერზე მცირე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელია მხოლოდ მშენებლობის ფაზაზე, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან კომპლექსს შეუძლია მიიღოს ასობით მომხმარებელი/ბინადარი, რაც ამ ტერიტორიაზე მნიშვნელოვნად გაზრდის საავტომობილო მოძრაობას. შესაბამისად, შესაფასებელია აღნიშნულ ტერიტორიაზე მოძრაობის ინტენსივობის გაზრდა, რაც უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს ატმოსფერულ ჰაერზე. ასევე როგორ დარეგულირდება საპროექტო ტერიტორიაზე ავტომობილების შესვლა/გამოსვლა, იმგვარად რომ მაგისტრალზე არ შეფერხდეს, ან მინიმალურად შეფერხდეს საავტომობილო ნაკადების მოძრაობა. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია, როგორ დარეგულირდება საპროექტო ტერიტორიის შიგნით ავტომობილების გადაადგილება იმგვარად, რომ მათი გადაადგილება და შესაბამისად მავნე გამონაბოლქვი დაყვანილი იყოს მინიმუმამდე. ამასთან

მიზანშეწონილია ამავე ქვეთავში აღიწეროს, არსებული ინფრასტრუქტურის გათბობის სისტემები (საწვავის მითითებით);

- სკრინინგის დოკუმენტში, კერძოდ: ბიომრავალფეროვნების თავში (გვ 20) საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებული ხე-მცენარეების ჩამონათვალში მითითებულია კაკლის ხის შემდეგი სახეობა: Juglans cordiformis, ხოლო ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების რაოდენობრივ-ხარისხობრივ აღწერაში კი მოცემულია კაკლის ხე (Juglans regia), რომელიც წარმოადგენს წითელი ნუსხით დაცულ სახეობას. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- განსაკუთრებით საჭიროა ყურადღება გამახვილდეს საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ ფრინველთა სამიგრაციო ზოლზე, შენობების მშენებლობით (განსაკუთრებით მრავალსართულიანი/მაღლივი შენობების მშენებლობის შემთხვევაში) მოსალოდნელ ზემოქმედებასა და ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე;
- წარმოდგენილ უნდა იქნას სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების ვადები და შესაბამისად, ზემოქმედების ხანგრძლივობა, ასევე საპროექტო ტერიტორიის ათვისებისა და დოკუმენტით დაგეგმილი საქმიანობების განხორციელების ეტაპები;
- კონცეფციასა და სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი მონაცემთა მატრიცა და ნახაზებისა და სურათების გარკვეული ნაწილი არის დაბალი რეზოლუციის, რაც ართულებს მასზე ასახული ინფორმაციის წაკითხვას;
- არ არის მოცემული ინფორმაცია მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი საწარმოო, საყოფაცხოვრებო-სამეურნეო და სანიაღვრე ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ;
- საჭიროა წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული და სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით დაგეგმილი მცენარეული საფარით დაფარული სივრცის ოდენობის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია მწირია და საჭიროებს დამატებითი შემარბილებელი ან/და პრევენციის ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენას;
- სკრინინგის განცხადებასა და სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციის ტექსტურ ნაწილში არ არის წარმოდგენილი გრაფიკულ ნაწილში ასახული პირსის მშენებლობის შესახებ ინფორმაცია. ამასთან კონცეფციის დოკუმენტის მე-16 გვერდზე მოცემულ გრაფიკულ ილუსტრაციაზე მითითებულია „პოტენციური სანაოსნო კავშირი“ ბათუმის პორტთან. საჭიროა დოკუმენტის ტექსტურ ნაწილში იყოს მითითებული იგეგმება თუ არა ნავმისადგომის მოწყობა, რადგან პროექტის გეგმაზე მისი მოწყობა გათვალისწინებულია. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ნავმისადგომის მოწყობის შემთხვევაში კი დოკუმენტში, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მის პარამეტრებზე, მშენებლობით გამოწვეულ შესაძლო ზემოქმედებაზე, საჭიროების შემთხვევაში, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე.

გაცნობებთ, რომ აღნიშნული შენიშვნების საფუძველზე განახლებული სკრინინგის განცხადებისა და სტრატეგიული დოკუმენტის კანონმდებლობის შესაბამისად წარმოდგენის შემდგომ სააგენტო უზრუნველყოფს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო